

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ჭყეშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„25“ „07“ 2014 წელი

ეგზ. № 1

ცაგერის მუნიციპალიტეტის
2011-2013 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის
ანგარიში *აშ 16/00*

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი	2
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	2
აუდიტორის პასუხისმგებლობა	2
ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის შესახებ	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	7
გზის შეკეთების სამუშაოები	7
სპეც-მანქანების შესყიდვა	9
საწვავის შესყიდვა	10
საწვავის მიღება და ხარჯვა	11
სამშენსაშენლოს დაკავება.....	13
კონტროლის მექანიზმი.....	13
დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია	14
მთავრობის განკარგულება	16
პირგასამტეხლოს დარიცხვა	17
გარე განათების ექსპლუატაცია	18
იჯარა	21
სამშენებლო სამუშაოები გამარტივებული შესყიდვების დროს.....	22
გაუთვალისწინებელი ხარჯები.....	23
ტექნიკური ზედამხედველობა	24
ავტომობილების შესყიდვაზე გადახდილი დღგ	25
სატრანსპორტო საშუალებები ლიმიტის ზევით	25
ხელფასების გაცემა სალაროდან.....	26
ცვლილებები შესყიდვების გეგმებში.....	27
ცნობა გაკოტრებისა და სანაციის შესახებ	27
შეუსაბამო კლასიფიცირება.....	28
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	29
საკადრო პოლიტიკა და ფიქტიური დანიშვნა.....	29
სასუქი.....	30
საკონსულტაციო მომსახურება	31
მონობარათების შესყიდვა	32

აუდიტის ძირითადი მიზანი

- დასკვნის გაცემა ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაზე.

აუდიტის დასკვნაში აისახა:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა - საქმიანობის წარმართვა, რესურსების გამოყენება, ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნათა დაცვა მოქმედი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;
- მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI)

მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნა, რომელთაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის ფართობი განისაზღვრება 756 კვ.კმ-ით, რომელიც მოიცავს 1 ქალაქს და 19 ტერიტორიულ ერთეულში გაერთიანებულ 58 სოფელს. თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 15600 კაცს¹.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, „ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. თვითმმართველი ერთეულის დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, რომელიც ასევე მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემულ გათანაბრებით ტრანსფერს. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 9 ა(ა)იპ და 5 შპს.

ცაგერის მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო პროცესს წარმართავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად. კანონის თანახმად, ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და შესრულების პროცესს

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით

კოორდინაციას უწევს გამგეობის საფინანსო სამსახური, ხოლო წლიურ ბიუჯეტს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

მუნიციპალიტეტის მაჩვენებლების (შემოსულობები, გადასახდელები) მონაცემები აღებულია ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან. მათი დინამიკა 2011-2013 წლებში ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში.


ცხრილი №1: ბიუჯეტის მაჩვენებლები 2011-2013 წლები (ათასი ლარი)

	2011წ.	2012წ.	2013წ.	ჯამი
შემოსულობები	3768.3	6699.4	7322.3	17790.0
შემოსავლები	3756.4	6690.9	7301.6	17748.9
არაფინანსური აქტივების კლება	11.9	8.5	20.7	41.1
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0	0	0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0	0.0
გადასახდელები	3761.6	6565.9	6423.8	16751.3
ხარჯები	2715.5	4886.8	4376.6	11978.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	1038.9	1667.6	1946.1	4652.6
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	7.2	11.5	101.1	119.8
ნაშთის ცვლილება	6.7	133.5	898.5	

ცაგერის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, რომლებიც 2011-2013 წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ: 2011 წელს განისაზღვრა მთლიანი

შემოსავლების 91%-ით, 2012 წელს - 93%-ით, ხოლო 2013 წელს - 95%-ით. 2011-2013 წლებში ტრანსფერები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

დიაგრამა №1: ტრანსფერების დინამიკა წლების მიხედვით (ათასი ლარი)



გადასახდელები

გამგეობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თანახმად, 2011-2013 წლებში გადასახდელების 71,5 % მოიცავს ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდა - 27,8 %-ია, ხოლო ვალდებულებების კლება - 0,7 %.

აუდირებულ პერიოდში ხარჯების მაღალი მაჩვენებელი იყო 2012 წელს, რომელიც წინა წელთან შედარებით გაიზარდა 80 %-ით, ხოლო 2013 წელს შემცირდა 10,4 %-ით.

ცხრილი №2: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია

ხარჯები	2011წ.	2012წ.	2013წ.
შრომის ანაზღაურება	843.7	992.1	1305.2
საქონელი და მომსახურება	597.0	2574.7	1645.5
სუბსიდიები	1109.3	1100.7	1177.4
გრანტები	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0

სოციალური უზრუნველყოფა	165.5	219.3	248.5
სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0

წარმოდგენილი მონაცემებით, ხარჯებიდან ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა „შრომის ანაზღაურების“ მუხლი, რომელიც როგორც შტატების, ასევე ხელფასების ზრდამ გამოიწვია.

2012 წელს „საქონელი და მომსახურების“ მუხლის მაღალი მაჩვენებელი შეუსაბამო კლასიფიცირების შედეგია, კერძოდ, კაპიტალური ხარჯები თანხით 817.3 ათასი ლარი მიკუთვნებულია ამავე მუხლს.

სუბსიდიები განსაკუთრებულ ცვლილებებს არ განიცდიდა, ხოლო „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი წლების განმავლობაში იზრდებოდა.

არაფინანსური აქტივების ზრდა

ბიუჯეტის შესრულების მიხედვით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 2012 წელს გაიზარდა 60,5 %-ით, ხოლო 2013 წელს - 16,7 %-ით. ცვლილებები ძირითადად გამოწვეული იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერების ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

გზის შეკეთების სამუშაოები

2013 წლის 17 ივნისს ცაგერის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი მუნიციპალიტეტის სოფლების: მახაში-სანორჩი-ნასპერი-ღვირიშის გზის შეკეთების სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, სავარაუდო ღირებულებით 238.9 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს „წყალტუბოგზასერვისმა“ თანხით - 235.6 ათასი ლარი და ი/მ „არჩილ ახვლედიანმა“ თანხით - 174.5 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაცია მოითხოვდა ანალოგიური სამუშაოების შესახებ გამოცდილებას არანაკლებ 200.0 ათასი ლარის ოდენობით. სატენდერო კომისიამ ანალოგიური სამუშაოების² გამოცდილების არქონის მოტივით განახორციელა 61.1 ათასი ლარით დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ იქნა ანალოგიური სამუშაოების შესახებ გამოცდილება ღირებულებით 203.2 ათასი ლარი, აქედან 173.9 ათასი ლარის შესრულებული სამუშაო მოიცავდა წყალგაყვანილობის, საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების მოწყობას, ხოლო 29.3 ათასი ლარი - გზის მოხრეშვისა და ხიდ-ბოგიერების მოწყობის სამუშაოებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ი/მ „არჩილ ახვლედიანის“ მიერ შესრულებული ხელშეკრულება ღირებულებით 173.9 ათასი ლარი, კლასიფიკაციის მიხედვით არ განეკუთვნება ტენდერით გამოცხადებული სამუშაოების ჯგუფს. სამუშაოების შესწავლით დადგინდა, რომ ი/მ „არჩილ ახვლედიანის“ მიერ წარმოდგენილი სამუშაოები მიეკუთვნება შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების 45200000 კლასიფიკატორის კოდს, ისევე როგორც ტენდერით გამოცხადებული სამუშაოები. ტენდერით გამოცხადებული სამუშაოები ითვალისწინებდა გზების მოხრეშვას, წყალამრიდების მოწყობას, რკინა-ბეტონის მილების მონტაჟს, რომელთაც

² ტერმინი „ანალოგიური სამუშაო“ მნიშვნელობა კანონმდებლობით არ არის განმარტებული, განმარტებულია შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები.

მოიცავდა ი/მ „არჩილ ახვლედიანის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

2013 წლის 26 აგვისტოს სოფლების: ორბელი-ლაშიჭალა-ძულურის გზის შეკეთების სამუშაოებზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა ი/მ „არჩილ ახვლედიანმა“. აღსანიშნავია, რომ მის მიერ წარმოდგენილი ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ იგივე ინფორმაცია, რომელიც ნამდვილად შეესაბამებოდა ტენდერით გამოცხადებულ სამუშაოებს, სატენდერო კომისიამ დამაკმაყოფილებლად ჩათვალა. 2013 წლის 17 ივნისს გამოცხადებული ტენდერის - გზის შეკეთების სამუშაოები არსებითად არ განსხვავდება ზემოთ აღნიშნული ტენდერის სამუშაოებისგან.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით სატენდერო კომისიას შეეძლო ანალოგიურად ჩაეთვალა ი/მ „არჩილ ახვლედიანის“ სამუშაოების გამოცდილება და გამოეცხადებინა გამარჯვებულად, რის შედეგად ბიუჯეტი სავარაუდოდ დაზოგავდა 61.1 ათას ლარს.

საბოლოოდ, 17 ივნისს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „წყალტუბოგზასერვისი“. მიმწოდებელმა შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა №2) თანახმად, 35252 კვ.მ-ზე გზის საფუძვლის მოსაწყობ მასალად გამოიყენა 11.3 ათასი ლარის ღირებულების მთის ქანი (ღორღი). პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამუშაოების შესრულებისას გამოყენებულია სოფელ ღვირიშის ტერიტორიაზე მდებარე არალიცენზირებული კარიერის მთის ქანი (ღორღი), შესაბამისად, მიმწოდებელს არ გადაუხდია სანებართვო მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ, თუ რას მოიცავს მიმწოდებლისათვის მასალის ღირებულებაში გადახდილი 11.3 ათასი ლარი.

სპეც-მანქანების შესყიდვა

2013 წლის 18 ივლისს, ცაგერის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ასენიზაციისა და სპეციალური ნაგავზიდი მანქანების შესყიდვის თაობაზე, სავარაუდო ღირებულებით 164.0 ათასი ლარი.

ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტი შპს „დათი“ – 120.8 ათასი ლარი. მიმწოდებელმა სამჯერ მიმართა წერილით ცაგერის მუნიციპალიტეტს ხელშეკრულების პროექტის შეცვლასთან დაკავშირებით, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა სატენდერო დოკუმენტაციაში ჩადებული პირობა წინასწარი ანგარიშსწორების შესახებ (ავანსი), საქონლის ღირებულების 30%-ის ოდენობით³. შპს „დათის“ მიერ სატენდერო კომისიისათვის გაგზავნილი წერილით ირკვევა, რომ ვინაიდან შემსყიდველმა მისი მოთხოვნა ხელშეკრულებაში ავანსის გაცემის პირობის ჩადების თაობაზე უპასუხოდ დატოვა, შპს „დათიმ“ უარი განაცხადა ცაგერის მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე. საბოლოოდ, სატენდერო კომისიამ მოახდინა მისი დისკვალიფიკაცია. იქიდან გამომდინარე, რომ ტენდერში მონაწილე მეორე პრეტენდენტმა ვერ წარმოადგინა დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია, ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

ასენიზაციის მანქანისა და ნაგავზიდის შესყიდვის თაობაზე 2013 წლის აგვისტოში ხელმეორედ გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ზაზო“, ღირებულებით - 158.7 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ ავანსირების პირობას ორივე ტენდერში მხოლოდ სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებდა, შპს „ზაზოსთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში მუნიციპალიტეტმა შეიტანა პირობა წინასწარი დაფინანსების შესახებ და გასცა ავანსი. აუდიტის ჯგუფისათვის გაურკვეველია სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველი შპს „ზაზოსთვის“ ავანსის მიცემასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა 37.9

³ავანსირების პირობა ხელშეკრულების პროექტში არ იყო გათვალისწინებული, ხოლო სატენდერო დოკუმენტაციაში იყო ჩადებული. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, შესაძლებელი იყო ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულების პირობების დაზუსტება.

ათასი ლარით დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტთან სატენდერო წინადადებაში ჩადებული წინასწარი ანგარიშსწორების პირობა არ გაითვალისწინა.

ზემოთ აღნიშნულ ორივე ტენდერში საქონლის მიწოდების ვადად განსაზღვრული იყო 15 სამუშაო დღე. აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები მუნიციპალიტეტის მიერ მანქანების მიწოდების ვადად მოკლე დროის განსაზღვრასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო საშუალებები სპეციფიკური დანიშნულებისაა, მათი წარმოება არ ხდება ქვეყნის ფარგლებში და შესყიდვის შემთხვევაში საჭიროებს იმპორტირებას. ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ზღუდავს სატრანსპორტო საშუალებების მოკლე ვადაში შესყიდვის შესაძლებლობას. ასევე საქონლის შესყიდვიდან დღემდე⁴ მუნიციპალიტეტის მიერ არ ხდება აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია. არსებობს რისკი იმისა, რომ აღნიშნულ გარემოებას შესაძლოა შეეზღუდა ტენდერის კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარება და გავლენა მოეხდინა საქონლის მიწოდების საბოლოო ფასზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სატენდერო კომისიის მიერ დაბალი სატენდერო წინადადების მქონე პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ბიუჯეტი სავარაუდოდ დაზოგავდა 37.9 ათას ლარს.

საწვავის შესყიდვა

2011-2013 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტი საწვავის შესყიდვას ახორციელებდა გამარტივებული შესყიდვის ან ტენდერის საშუალებით.

ცხრილი №3: შესყიდული საწვავის მოცულობა (ლიტრი)

	ბენზინი/დიზელი	
	ნატური	ტალონი
2011	40365	8940
2012	48590	9670
2013	43799	8050

⁴ 2013 წლის სექტემბრიდან, აუდიტის ჯგუფის ცაგერის მუნიციპალიტეტში ყოფნიდან დღემდე - 2014 წლის მარტამდე.

ცაგერის მუნიციპალიტეტი ტალონების გადაცვლას ნატურ საწვავზე ახდენდა ქალაქ ქუთაისში და ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდა დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებით. ტრანსპორტირებული საწვავის შენახვა ხდებოდა ცაგერში მდებარე ძველ ბენზინგასამართ სადგურში. შესყიდული საწვავის ტრანსპორტირების, შენახვისა და ყოველდღიური მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, 2011-2013 წლებში გაწეული ხარჯი შეადგენს 7.7 ათას ლარს⁵. გარდა აღნიშნულისა, ქ.ქუთაისიდან ქ.ცაგერში საწვავის ტრანსპორტირების ღირებულება გაიცემოდა შესყიდული საწვავიდან, კერძოდ, ნატური საწვავის შემოტანა სამივე წლის განმავლობაში განხორციელდა 27-ჯერ, რისთვისაც ჩამოწერილია 2680 ლიტრი საწვავი, სავარაუდო ღირებულებით 5.4 ათასი ლარი.

საწვავის მიღება და ხარჯვა

აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ წარმოადგინა 2011-2013 წლებში საწვავის მიღების, ჩამოწერისა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ცხრილი №4: საწვავის მიღება, ჩამოწერა და ხარჯვა (წლების მიხედვით)

საწვავი	ნაშთი (01.01.11)	მიღება	გასვლა	ნაშთი (01.01.12)
ბენზინი	177	39306	37983	1500
დიზელი	0	10000	9300	700
ნაშთი 01.01.12.		ნაშთი 01.01.13		
ბენზინი	1500	42460	42991	969
დიზელი	700	15800	13855	2645
ნაშთი 01.01.13		ნაშთი 01.01.14		
ბენზინი	969	34899	34156	1712
დიზელი	2645	16950	16973	2622

⁵ 2011 წელს ი/მ „ჯუსტან ახვლედიანთან“-1325 ლარი, 2012-2013 წლებში ი/მ „ნათელა ჩაკვეტაძესთან“- 6360 ლარი.

⁶ ცაგერის გამგებლის სახელზე გაგზავნილი წერილი № 44; 31.01.2014.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა, რომ 2011-2012 წლებში მიღებულია 81766 ლიტრი ბენზინი და 25800 ლიტრი დიზელი, ჩამოწერილია 80974 ლიტრი ბენზინი და 23155 ლიტრი დიზელი. გამგეობის მიერ ჩამოწერილი საწვავიდან წარმოდგენილ იქნა მხოლოდ 33615 ლიტრი ბენზინისა და 20700 ლიტრი დიზელის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა მიიღო 34899 ლიტრი ბენზინი და 16950 ლიტრი დიზელი, ჩამოწერილია 34156 ლიტრი ბენზინი და 16973 ლიტრი დიზელი, რისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილია სრულყოფილად.

გარდა ამისა, სახელმწიფო რწმუნებულის 2010 წლის 24 დეკემბრის №52 ბრძანებით ცაგერის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადმოეცა დიზელის საწვავი 4000 ლიტრი, რომელიც გახარჯულია 2011 წელს. აღნიშნული ნაშთი გამგეობის მიერ ორგანიზაციის ბალანსში წლის დასაწყისში არ აღრიცხულა.

აუდიტის მსვლელობისას ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი 2011-2012 წლებში ჩამოწერილი 47359 ლიტრი ბენზინისა და 6455 ლიტრი დიზელის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები. ძირითადი აუდიტორული პროცედურების დასრულების შემდეგ, ცაგერის მუნიციპალიტეტმა დამატებით წარმოდგენა 25163 ლიტრი ბენზინისა და 3755 ლიტრი დიზელის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,⁷ ხოლო დარჩენილ 22196 ლიტრ ბენზინსა და 2700 ლიტრ დიზელზე პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ რეზერვუარის მოვლა-პატრონობასა და საწვავის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მოწოდებულ იქნა 2013 წლის მხოლოდ 16740 ლიტრი ბენზინისა და 8482 ლიტრი დიზელის გაცემის უწყისი. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლიდან ირკვევა, რომ გამგეობის მიმართვის გარეშე გაცემულია 4155 ლიტრი ბენზინი და 455 ლიტრი დიზელი. ასევე, აუდიტის ჯგუფის მიერ მოხდა 2013 წლის წარმოდგენილი უწყისის შედარება ცაგერის მუნიციპალიტეტის საშტატო ნუსხასთან. დადგინდა, რომ 635 ლიტრი ბენზინი და 980 ლიტრი დიზელი გაცემულია 32 პირზე,

⁷ მუნიციპალიტეტმა აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგინა 2014 წლის 11 ივლისს.

რომლებიც გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით არ არიან მუნიციპალიტეტის თანამშრომლები.

საშემოსავლოს დაკავება

2011 წლის პირველი იანვრიდან 2012 წლის პირველ ივლისამდე, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირებს, არასამსახურებრივი ავტომანქანების საჭიროებისათვის მიღებული აქვთ საწვავი 20480 ლიტრი, სავარაუდო ღირებულებით 40.9 ათასი ლარი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული სარგებელი განეკუთვნება ხელფასით მიღებულ შემოსავალს და ექვემდებარება დაბეგვრას კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში. გამგეობის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადის დაკავება არ განხორციელებულა, რაც დაახლოებით შეადგენდა 8.2 ათას ლარს.

კონტროლის მექანიზმი

ცაგერის მუნიციპალიტეტში საწვავის გაცემასთან დაკავშირებით არ არსებობს რაიმე სახის ნორმატიული აქტი, არ არის თითოეული პიროვნებისათვის ან სამსახურისათვის დადგენილი ლიმიტები. გამგეობის მიერ პასუხისმგებელ პირზე არ გაიცემოდა სადგურიდან საწვავის გაცემის დამადასტურებელი რაიმე სახის ნებართვა. არ ტარდებოდა საწვავის ინვენტარიზაცია, რასაც ადასტურებს პასუხისმგებელი პირი წერილობითი განმარტებით. აღნიშნულით არ არის შესრულებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №605 ბრძანების მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის შესაბამისად, რეკომენდირებულია თვეში ერთხელ საწვავის ინვენტარიზაციის ჩატარება.

2014 წლის 27 იანვარს აუდიტის ჯგუფის მიერ გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების

პასუხისმგებელ პირთან ერთად განხორციელდა საწვავის შესანახი რეზერვუარების დათვალიერება და აქ არსებული ნაშთის გაზომვა. რეზერვუარებში აღმოჩნდა 1040 ლიტრი დიზელი და 800 ლიტრი ბენზინი. გამგეობის ბუღალტრული აღრიცხვის თანახმად, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწვავის ნაშთისა და 1 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით პასუხისმგებელი პირის მიერ გაცემული საწვავის რაოდენობებით დგინდება, რომ ნაშთი უნდა ყოფილიყო 1692 ლიტრი დიზელი და 549 ლიტრი ბენზინი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 800 ლიტრი ბენზინი და 800 ლიტრი დიზელი მისი საკუთრებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1452 ლიტრი დიზელისა და 549 ლიტრი ბენზინის ნაშთი ვერ დასტურდება.

მუნიციპალიტეტის გამგეობაში საწვავის მოვლა-შენახვასა და ხარჯვაზე არ არის დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები, რის გამოც საწვავის გაცემა ხდებოდა არასათანადოდ და კანონშეუსაბამოდ.

დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია

2011-2013 წლების ცაგერის მუნიციპალიტეტის შესყიდვების შესწავლის შედეგად გამოვლინდა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის შემთხვევები:

- 2011 წელს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში სოფელ დეხვირის საჯარო სკოლისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა: ი/მ „ნუგზარ ჭაბუკიანმა“; შპს „კრისტალმა“ და ი/მ „ზურაბ ბაბუნაშვილმა“. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა ი/მ „ზურაბ ბაბუნაშვილმა“ - 5.2 ათასი ლარი⁸. სატენდერო კომისიამ დაზუსტების გარეშე მოახდინა ი/მ „ზურაბ ბაბუნაშვილის“ დისკვალიფიკაცია შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადის წარმოუდგენლობის გამო. შპს „კრისტალმა“ კი კომისიის მიერ მიცემულ დროში არ წარმოადგინა

⁸ ი/მ „ნუგზარ ჭაბუკიანი“ - 9.1 ათასი ლარი; შპს „კრისტალი“ - 5.5 ათასი ლარი.

დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა. შესაბამისად, აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ი/მ „ნუგზარ ჭაბუკიანი“. დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საგარანტიო ვადის დაზუსტების შესაძლებლობის შემთხვევაში, ბიუჯეტი სავარაუდოდ დაზოგავდა 3.9 ათას ლარს.

• 2012 წელს გამოცხადდა ტენდერი ქ. ცაგერში მუსიკალური სკოლის I სართულის მარჯვენა ფლიგელის ოთახების სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე, სადაც მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: ი/მ „გენადი ჭაბუკიანმა“ და ი/მ „გია ხეცურიანმა“. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა ი/მ „გია ხეცურიანმა“ – 36.4 ათასი ლარი⁹. ი/მ „გია ხეცურიანს“ შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ჰქონდა ხარჯთაღრიცხვა და სხვა ტექნიკური დოკუმენტაცია, გარდა სატენდერო წინადადების სტანდარტული ფორმისა. სატენდერო კომისიამ არ მოითხოვა დოკუმენტაციის დაზუსტება და პირდაპირ მოახდინა აღნიშნული პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. შედეგად, კომისიამ გამარჯვებულად გამოავლინა მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტი და მოსთხოვა საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა. აღსანიშნავია, რომ ი/მ „გია ხეცურიანმა“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შეიტანა საჩივარი ტენდერის არასამართლიან ჩატარებასთან დაკავშირებით. შესყიდვების სააგენტომ პრეტენდენტის საჩივარი დააკმაყოფილა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიას თავიდანვე უნდა მოეთხოვა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება და დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში გამარჯვებულად გამოეკლინა ი/მ „გია ხეცურიანი“, რითაც ბიუჯეტი სავარაუდოდ დაზოგავდა 5.5 ათას ლარს.

• 2013 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტმა გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სოფელ ორბელის წყალსადენის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ცაგერის კანალიზაციის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის თაობაზე. ტენდერში ვაჭრობის შედეგად პრეტენდენტებმა დააფიქსირეს საბოლოო ფასები - ი/მ „რევაზ დიდმანიძემ“ - 14.0 ათასი ლარი; შპს „ვნვ და კომპანია“ - 12.2 ათასი ლარი და ი/მ „იაკობ ჭილაძემ“ -

⁹ ი/მ „გენადი ჭაბუკიანი“ – 41.9 ათასი ლარი.

7.0 ათასი ლარი. სატენდერო კომისიამ მოახდინა შპს „ვენე და კომპანიისა“ და ი/მ „იაკობ ჭილაძის“ დისკვალიფიკაცია ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების არქონის გამო.

სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ დისკვალიფიცირებული პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი გამოცდილება ანალოგიური სამუშაოების შესახებ შეესაბამებოდა ტენდერით გამოცხადებული ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების კლასიფიკატორის კოდს - 71200000.

ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ღირებულების მქონე პრეტენდენტის - ი/მ „იაკობ ჭილაძის“ გამარჯვებულად გამოვლენის შემთხვევაში ბიუჯეტი სავარაუდოდ დაზოგავდა 7.0 ათას ლარს.

მთავრობის განკარგულება

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ 2012 წლის 18 იანვრის საქართველოს მთავრობის №55 განკარგულებით, ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 600.0 ათასი ლარი შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად:

- ა) სტადიონისა და ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია;
- ბ) ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია;
- გ) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია;
- დ) ყოფილი პროფსასწავლებლის საერთო საცხოვრებლის სახურავის მოწყობა;
- ე) ყოფილი მასწავლებელთა სახლის სახურავის მოწყობა;
- ვ) ქ. ცაგერში სპორტული დარბაზის მშენებლობა;
- ზ) გარე განათების მოწყობა.

განკარგულებაში ცვლილება განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2012 წლის 4 აგვისტოს №1554 განკარგულებით. გამგეობამ წარმოადგინა აღნიშნული ცვლილების ერთი და იმავე თარიღისა და ნომრის სხვადასხვა შინაარსის ორი ვარიანტი:

- პირველი ვარიანტი გამგეობის კანცელარიაში შემოსულია და გატარებულია 2012 წლის 10 აგვისტოს, რომლის მიხედვითაც ცვლილება შეეხო: „ვ“ პუნქტით გათვალისწინებულ პროექტს - „ქ. ცაგერში სპორტული დარბაზის მშენებლობის“ ნაცვლად ჩაისვა პროექტი „ქ. ცაგერში სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები“.
- მეორე ვარიანტი კანცელარიაში შემოსულია და გატარებულია 2012 წლის 23 აგვისტოს და გულისხმობს „ა“, „ვ“ და „ზ“ პუნქტებით განსაზღვრული პროექტების ჩატარებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ცაგერის მუნიციპალიტეტმა იხელმძღვანელა განკარგულების მეორე ვარიანტით, რომელიც გულისხმობდა პროექტების შესყიდვას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. აუდიტის ჯგუფმა საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან გამოითხოვა აღნიშნულ განკარგულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და თანდართული დოკუმენტების ასლები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მათ მიერ განხორციელებული მოკვლევის მიუხედავად, ვერ დგინდება ორი, ერთი და იმავე თარიღისა და ნომრის მქონე სხვადასხვა შინაარსის მთავრობის განკარგულებიდან რომელია იურიდიული ძალის მქონე. აღნიშნული ფაქტის შეფასება სცილდება აუდიტის ფარგლებს და საჭიროებს დამატებით შესწავლას საგამომიებო ორგანოების მიერ.

პირგასამტეხლოს დარიცხვა

2012 წლის 6 აგვისტოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ცაგერის მუნიციპალიტეტსა და შპს „გოლდი 2009-ს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება №283 ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით სოფელ ქვ. ცაგერის ახალდასახლების უბანში წყალსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით 40.9 ათასი ლარი¹⁰. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 55 კალენდარული დღე, 30 სექტემბრის ჩათვლით.

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 1 აგვისტოს №1534 განკარგულება.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა წინასწარი ანგარიშსწორების პირობას, მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, გამგეობამ შპს „გოლდი 2009-ს“ 2012 წლის 25 აგვისტოს გადაურიცხა ავანსი, 20.5 ათასი ლარის ოდენობით. მიმწოდებელმა სამუშაოები დაიწყო ავანსის ჩარიცხვის შემდგომ, რის გამოც, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სამუშაოების დასრულების თარიღად ნაცვლად 30 სექტემბრისა, განსაზღვრა 19 ოქტომბერი. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, თანხის ჩარიცხვამდე მიმწოდებელს არ ჰქონდა სამუშაოები დაწყებული და მათი საბოლოო ჩაბარება განხორციელდა 2012 წლის 7 დეკემბერს. გამგეობამ მიმწოდებელს შესასრულებელი სამუშაოების ვადაგადაცილებაზე ჯარიმის თანხა დაარიცხა 48 დღეზე გაანგარიშებით¹¹, 3.9 ათასი ლარის ოდენობით. თუმცა, ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა 30 სექტემბრიდან 7 დეკემბრამდე შეადგენდა 68 დღეს.

შემსყიდველს შესასრულებელი სამუშაოების ვადაგადაცილებაზე საჯარიმო სანქცია უნდა დაერიცხა 68 დღეზე, რაც 5.6 ათასი ლარს შეადგენს. შესაბამისად, გამგეობამ მიმწოდებელს დაარიცხა 1.7 ათასი ლარით ნაკლები პირგასამტეხლო, ვიდრე ხელშეკრულების პირობით იყო გათვალისწინებული.

გარე განათების ექსპლუატაცია

2011-2013 წლებში გარე განათების ექსპლუატაციას ახორციელებდნენ შემდეგი მიმწოდებლები:

ცხრილი №5: გარე განათების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯი

წელი	მიმწოდებელი	სახელმწიფოებო ღირებულება
2011	შპს „გონი 77“	27000
2012	შპს „გონი 77“	49317
2013	შპს „გონი 77“	5755
	ი/მ „გიორგი მუშკუდიანი“	30488

¹¹ გამგეობამ სამუშაოების დაწყების თარიღად ჩათვალა მიმწოდებლისათვის ავანსის ჩარიცხვის თარიღი (2012 წლის 25 აგვისტო).

მუნიციპალიტეტის მიერ გარე განათების ექსპლუატაციაზე გაწეულმა ხარჯმა სამივე წელს შეადგინა 112.6 ათასი ლარი.

მონეტარული ზღვრების დარღვევა

2013 წლის 3 იანვარს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და შპს „გონი77“-ს შორის გამარტივებული შესყიდვით გაფორმდა ხელშეკრულება 31 იანვრის ჩათვლით გარე განათების მომსახურების შესყიდვის თაობაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 3.1 ათასი ლარი. 2013 წლის 1 თებერვალს, შეთანხმების აქტის საფუძველზე, სახელშეკრულებო ვადა გაგრძელდა 1 მარტამდე, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 2.6 ათასი ლარით. საერთო ჯამში სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 5.7 ათასი ლარი. სახელშეკრულებო თანხის გაზრდამ გამოიწვია დადგენილი მონეტარული ზღვრების დარღვევა. ცაგერის მუნიციპალიტეტს აღნიშნული თანხის ფარგლებში შესყიდვის საშუალებად ნაცვლად გამარტივებული შესყიდვისა, უნდა გამოეყენებინა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი. მუნიციპალიტეტმა გარე განათების ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეთანხმების აქტი ვადის გაგრძელებაზე შპს „გონი 77“-თან უკვე გაფორმებული იყო¹².

ზედმეტად ანაზღაურებული დღგ და შეუსრულებელი სამუშაო

2012 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და შპს „გონი 77“-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქ.ცაგერის ქუჩებისა და სოფლების გარე განათების ტექნიკურ მომსახურებაზე, თანხით 47.7 ათასი ლარი. მიწოდების ვადად განისაზღვრა 24 თებერვალიდან 31 დეკემბრამდე პერიოდი.

შპს „გონი 77“ დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2012 წლის 26 ივნისს. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტებით (ფორმა №2)

¹² 22 თებერვალი, 2013 - SPA130004669.

ირკვევა, რომ მიმწოდებელზე 24 თებერვლიდან 1 ივნისამდე ანაზღაურებულ იქნა დამატებითი ღირებულების გადასახადი - 2.0 ათასი ლარის ოდენობით.

ასევე, საბოლოო შესრულებული სამუშაოს აქტში, სამუშაოების ღირებულება არასწორად არის დაჯამებული, რის გამოც მიმწოდებელს ზედმეტად აუნაზღაურდა 4.5 ათასი ლარი.

დემონტირებული მასალები

2011-2013 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელის ტექნიკურ მომსახურებას ასრულებდნენ შპს „გონი 77“ და ი/მ „გიორგი მუშკუდიანი“¹³. შესრულებული სამუშაოს აქტის თანახმად, მიმწოდებლებს დემონტირებული აქვთ 6500 გრძ/მ ალუმინის ე.წ. „მრავალჟილიანი“ შიშველი მავთული. დემონტირებული კაბელის ჩაბარება ხდებოდა 2013 წლის 16 მაისს, გამგეობის მიერ შექმნილი კომისიით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, გამგეობას მიღებული აქვს 1700 გრძ/მ ალუმინის „მრავალჟილიანი“ შიშველი მავთული. აუდიტის ჯგუფის თანდასწრებით, გამგეობის საწყობში დათვალიერებული და აზომილ იქნა აღნიშნული მავთული, სიგრძით 1360 გრძ/მ, დარჩენილი 140 გრძ/მ - მიღება-ჩაბარების აქტის არსებობის მიუხედავად, ადგილზე არ აღმოჩნდა. ასევე, 200 გრძ/მ დემონტირებული ელექტრო სადენი ჩაბარებულია სოფელ ალპანის ტერიტორიული ორგანოსთვის. 4800 გრძ/მ დემონტირებული ელექტროსადენების მიღება-ჩაბარების აქტი აუდიტის ჯგუფს ვერ მიაწოდეს. ასევე, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, უცნობია სად ინახება ამჟამად აღნიშნული კაბელები.

¹³ შესრულებული სამუშაოები: შპს „გონი 77“ (2011-2013 წლები) - 76.8 ათასი ლარი, ი/მ „გიორგი მუშკუდიანი“ – (2013 წელი) 30.5 ათასი ლარი.

იჯარა

2011-2013 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიწის იჯარიდან აღგილობრივ ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა სულ 43.5 ათასი ლარი.

ცხრილი №6: საიჯარო შემოსავლები (ათასი ლარი)

დასახელება	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.
საიჯარო შემოსავალი (ათასი ლარი)	10.1	17.4	16.0
პირდაპირი განკარგვის წესით გაცემული ობიექტების რაოდენობა	17	21	22

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ყოველწლიურად ხდებოდა იჯარიდან მისაღები შემოსავლების აღრიცხვა და გადაუხდელი საიჯარო ქირის ნაშთების გამოყვანა. ისეთ მოიჯარეებს, რომელთაც არ აქვთ გადახდილი საიჯარო ქირა, ეგზავნებოდა წერილობითი მოთხოვნა ქირის დროულად გადახდის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებები ზოგჯერ ისეა გაფორმებული, რომ მასში არ არის გათვალისწინებული ჯარიმა იჯარის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც: მოიჯარეს საიჯარო ქირის დაგვიანებით გადახდისას, მუნიციპალიტეტის გამგეობას მოთხოვნილი აქვს მხოლოდ ძირითადი დავალიანების დაფარვა საურავის დარიცხვის გარეშე.

აუდიტის ჯგუფის მიერ გაანგარიშებულ იქნა მოიჯარეების მიერ გადაუხდელი საიჯარო ქირისა და მასზე დასარიცხი საურავის ოდენობა. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2 მოიჯარის მიერ გადაუხდელობა საიჯარო ქირამ შეადგინა 3.6 ათასი ლარი, ხოლო საიჯარო ქირის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში - ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა საჯარიმო სანქციამ (საურავი) შეადგინა 2.0 ათასი ლარი.

ცხრილი №7: გადასახდელი საიჯარო ქირა (ათასი ლარი)

დასახელება	გადასახდელი საიჯარო ქირა (I)	გადახდილი საიჯარო ქირა (II)	სხვაობა (I-II)	საურავი	სულ გადასახდელი
შპს „ჯეოსელი“	21.5	20.0	1.5	1.3	2.8
შპს „მობიტელი“	12.0	9.9	2.1	0.7	2.8
სულ:	33.5	29.9	3.6	2.0	5.6

სამშენებლო სამუშაოები გამარტივებული შესყიდვების დროს

2012 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის გზით შესყიდვისას, არ იქნა გათვალისწინებული „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება, რომლის მიხედვითაც, გამარტივებული შესყიდვის დროს:

- შესრულებული სამუშაოს ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით; ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში;
- სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოს აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების დარიცხვის გარეშე.

2012 წლის პირველი ივლისიდან 31 დეკემბრამდე¹⁴, საკრებულომ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე მიმწოდებლებს ხელშეკრულებები გაუფორმა გამარტივებული შესყიდვების საშუალებით. მიმწოდებლები სამუშაოების შესასრულებლად, ქირაობდნენ მანქანა-მექანიზმებსა და ინვენტარს, ხოლო

¹⁴ 2013 წელს მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილია ფაქტობრივი დანახარჯები

შესრულებული სამუშაოების აქტებში აღნიშნულ მანქანა-მექანიზმების ქირავნობის ღირებულებაზე დარიცხულია ზედნადები ხარჯები და გეგმური დაგროვება, კერძოდ:

2012 წლის პირველი ივლისიდან წლის ბოლომდე, 73 ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლების მიერ დაქირავებულ მანქანა-მექანიზმების ღირებულებაზე დარიცხული და შემსყიდველის მიერ ფაქტობრივი დანახარჯების წარმოდგენის გარეშე დაუსაბუთებლად ანაზღაურებულია ზედნადები ხარჯი და გეგმური დაგროვება, ჯამური თანხით - 31.0 ათასი ლარი.

გაუთვალისწინებელი ხარჯები

2012-2013 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ხარჯთაღრიცხვები მოიცავდა გაუთვალისწინებელ ხარჯებს, მაგრამ მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებში გაშიფრული არ არის ამ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება 13.8 ათასი ლარის გაუთვალისწინებელი ხარჯის რეალობის დადასტურება, კერძოდ:

ცხრილი №8: გაუშიფრავი გაუთვალისწინებელი ხარჯები (ათასი ლარი)

მიმწოდებელი	ხელშეკრულების №	გაუთვალისწინებელი ხარჯი
შპს „კრისტალი“	127	1.9
შპს „კრისტალი“	126	1.6
ი/მ „გია ბურჯალიანი“	337	3.3
შპს „პერია“	90	3.0
ი/მ „როლანდ გვიდიანი“	129	0.6
ი/მ „გაგა ლარცულიანი“	335	0.3
ი/მ „გია მუშკუდიანი“	231	0.6
ი/მ „გენადი ჭაბუკიანი“	99	0.8
შპს „ქეთურინა“	199 ¹⁵	1.7
სულ:		13.8

¹⁵ №199 ხელშეკრულება გაფორმებულია 2013 წელს, სხვა დანარჩენი - 2012 წელს.

ტექნიკური ზედამხედველობა

2011-2013 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტი ახორციელებდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის შესყიდვას თანხით 7.9 ათასი ლარი. გაფორმებული ხელშეკრულებები არ განმარტავდა ტექნიკური ზედამხედველის კონკრეტულ ფუნქცია-მოვალეობებს. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, მათი მოვალეობაა შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, მათ ასევე ევალებოდათ ფარული სამუშაოების აქტების შედგენა, თუმცა აღნიშნული აქტები გამონაკლისი შემთხვევის გარდა, ვერ იქნა წარმოდგენილი. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ შესრულებული სამუშაოების ჩაბარება ხდება ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს შესრულებული სამუშაოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაზე. აქედან გამომდინარე, ინსპექტირების ჯგუფისა და ტექნიკური ზედამხედველის ფუნქცია-მოვალეობები იდენტურია. სასურველია, მუნიციპალიტეტმა განიხილოს დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე სამუშაოების ჩაბარების შესაძლებლობა.

ცხრილი №9: არამიზნობრივი ხარჯი (ათასი ლარი)

წელი	შესრულებული	თანხა	დაფინანსების წყარო
2011	ფ/პ „კარლო კვირიკაშვილი“	3.0	მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №735 განკარგულება
2012	ფ/პ „კარლო კვირიკაშვილი“	1.5	მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №55 განკარგულება
სულ:		4.5	

მუნიციპალიტეტის მიერ ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა დაფინანსებულია მთავრობის ზემოთ აღნიშნული განკარგულებების საფუძველზე მიღებული თანხებიდან. აღსანიშნავია, რომ მთავრობის განკარგულებები არ

ითვალისწინებდა ტექნიკური ზედამხედველის დაფინანსებას. შესაბამისად, 2011-2012 წლებში გაწეული ხარჯი თანხით 4.5 ათასი ლარი, გახარჯულია განკარგულების მიზნობრიობის დარღვევით.

ავტომობილების შესყიდვაზე გადახდილი დღგ

2012 წლის 16 ივლისსა და 2013 წლის 11 აპრილს ცაგერის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი საკრებულოსა და გამგეობისთვის მაღალი გამავლობის ჯიშების შესყიდვაზე - ღირებულებით 20.0 ათასი და 11.5 ათასი ლარი დღგ-ის გათვალისწინებით.

ორივე ტენდერში მონაწილეობა მიიღო თითო-თითო პრეტენდენტმა, რომელთაც წარმოდგენილი ჰქონდათ სატენდერო წინადადება დღგ-ის ჩათვლით, სავარაუდო ღირებულების შესაბამისი თანხით¹⁶. ვინაიდან ტენდერები უკონკურენტო გარემოში ჩატარდა, სატენდერო წინადადების ღირებულება არსებითად არ შეცვლილა და მიმწოდებლებთან გაფორმდა ხელშეკრულებები სულ, 31.4 ათას ლარზე.

საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩათვლის უფლების გარეშე დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან განთავისუფლებულია ავტომანქანის შემენა ან იმპორტი. მიუხედავად ამისა, გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, მიმწოდებლებს თანხა გადაერიცხათ სრულად, მათ შორის, დღგ 4.8 ათასი ლარი.

სატრანსპორტო საშუალებები ლიმიტის ზევით

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების 150-225 ერთეული საშტატო რიცხოვნობისას, სამსახურებრივი მიმოსვლისათვის საჭირო მსუბუქი ავტომანქანების ზღვრული

¹⁶ 2012 წელი: ი/მ „ლევან კობახიძე“ – 20.0 ათასი ლარი; 2013 წელი: შპს „ნიუ სერვისი“ – 11.4 ათასი ლარი, სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით 100 ლარით ნაკლები.

ოდენობა განსაზღვრულია 4 ერთეულით, ხოლო 225-300 ერთეული საშტატო რიცხოვნობისას - 5 ერთეულით.

2011-2012 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 152-159 ერთეულს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ცენტრალურ აპარატს სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ემსახურებოდა 7 ერთეული ავტომანქანა, ნაცვლად 4 ერთეულისა. 2013 წელს საშტატო რიცხოვნობა გაიზარდა 246 ერთეულამდე, ხოლო ემსახურებოდა 7 ერთეული ავტომანქანა, ნაცვლად 5 ერთეულისა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2011-2013 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტს სამსახურებრივი მიმოსვლისათვის ემსახურებოდა ავტომანქანები საქართველოს პრეზიდენტის №364 ბრძანებულებით განსაზღვრული ნორმატივის ზევით.

ხელფასების გაცემა სალაროდან

2011 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა ახორციელებდა სალაროში თანხების მოძრაობას. 2011 წლის პირველი იანვრისათვის სალაროში ნაშთი შეადგენდა 3.2 ათას ლარს. წლის განმავლობაში ბანკიდან სალაროში მიღებულ იქნა სულ 14.7 ათასი ლარი, ხოლო აქედან ხელფასებზე გაიცა 3.3 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დახმარებებზე - 11.1 ათასი ლარი, სარვამართო ღონისძიებებზე - 1.3 ათასი ლარი, საწვავზე - 0.1 ათასი ლარი. წლის ბოლოს დარჩენილი ნაშთი - 2.1 ათასი ლარი, შეტანილ იქნა ბანკში; 2012-2013 წლებში კი სალაროში თანხების მოძრაობა არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ ხელფასების სალაროდან ნაღდი ანგარიშსწორებით დაირღვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, საჯარო

მოხელეს შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) ერიცხება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით¹⁷.

ცვლილებები შესყიდვების გეგმებში

2011-2012 წლებში ცაგერის მუნიციპალიტეტი ადგენდა შესყიდვების წლიურ დამტკიცებულ გეგმასა და საბოლოო კორექტირებული შესყიდვების გეგმას და წარადგენდა სააგენტოში. მიუხედავად იმისა, რომ ამ წლების განმავლობაში ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რამდენჯერმე შევიდა ცვლილებები¹⁸, განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად არ მომხდარა შესყიდვების წლიურ გეგმებში ცვლილების შეტანა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სააგენტოში წარდგენა. აღნიშნული ქმედებით დაირღვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4¹ პუნქტის მოთხოვნა.

ცნობა გაკოტრებისა და სანაციის შესახებ

2011 წელს გამოცხადებულ ტენდერებში ცაგერის მუნიციპალიტეტი ითხოვდა, რომ პრეტენდენტებს წარმოედგინათ ცნობა სასამართლოდან სანაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ¹⁹. საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის წარმოდგენისას, გამარჯვებული პრეტენდენტების მიერ²⁰ წარმოდგენილი იყო სანაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ ცნობა ცაგერის რაიონული სასამართლოდან. სასამართლოს მიერ გაცემულ ყველა ცნობაში აღნიშნულია, რომ მიმწოდებლის მიმართ ცაგერის სასამართლოში არ მიმდინარებს გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოება. კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნულ ცნობას გასცემს მხოლოდ თბილისისა და

¹⁷ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁸ 2011 წელს განხორციელდა 4 ცვლილება, 2012 წელს - 9 ცვლილება.

¹⁹ 2011 წელს მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული იქნა 17 გამარტივებული და 26 ელექტრონული ტენდერი.

²⁰ გარდა, შპს „ცეკურისა“.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოები²¹. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ცაგერის მუნიციპალიტეტმა გამარჯვებულ პრეტენდენტებს წარმოდგენილი ცნობები ჩაუთვალა დამაკმაყოფილებლად, რაც ბუნებრივია, არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

შეუსაბამო კლასიფიცირება

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2011-2013 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ხშირ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული ხარჯები არასწორადაა კლასიფიცირებული და შეუსაბამოა „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების მოთხოვნებთან. კერძოდ:

- ✓ 2011 წლის ბიუჯეტში მიმდინარე ხარჯები - თანხით 76.8 ათასი ლარი, კლასიფიცირებულია არასწორად. კერძოდ, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი 23.8 ათასი ლარით გაზრდილი სახით არის წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს საწვავის ხარჯს - თანხით 23.5 ათასი ლარი და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხარჯს - თანხით 0.3 ათასი ლარი, ხოლო დასუფთავების ღონისძიებები - თანხით 53.0 ათასი ლარი, ნაცვლად „საქონლისა და მომსახურების“ მუხლისა კლასიფიცირებულია „სუბსიდიის“ მუხლში.
- ✓ 2012 წლის ბიუჯეტში კაპიტალური ხარჯები არასწორადაა კლასიფიცირებული „საქონელი და მომსახურების“ მუხლში, რის გამოც „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი 817.3 ათასი ლარით²² ნაკლები თანხითაა წარმოდგენილი. ასევე, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების კომპენსაციაზე გამოყოფილი თანხა 140.0 ათასი ლარი, მიკუთვნებულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლს, რის გამოც „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი აღნიშნული თანხით არის შემცირებული.

²¹ „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

²² გარე განათების, სანიაღვრის, ხიდ-ბოგირების, წყალსადენის, სკვერების, მოსაცდელების, ჯებირების, სარიტუალო დარბაზების მოწყობა; ტრაქტორების, ავზებისა და მილების შესყიდვა.

- ✓ ანალოგიური მდგომარეობაა 2013 წლის ბიუჯეტშიც. კერძოდ, კაპიტალური ხარჯების არასწორი მიკუთვნების გამო, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი 244.9 ათასი ლარით²³ ნაკლებად, ხოლო „საქონელი და მომსახურების“ მუხლი იმავე თანხით გაზრდილადაა წარმოდგენილი.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

საკადრო პოლიტიკა და ფიქტიური დანიშვნა

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2011-2013 წლების დამტკიცებული ბიუჯეტების საშუალოდ მესამედს შეადგენს შტატით განსაზღვრული თანამშრომელთა ხელფასები (გარდა დაფუძნებული იურიდიული პირების თანამშრომლებისა). მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ დახმარებებზე მწირი დაფინანსების პირობებში, შრომის ანაზღაურების მაღალი მაჩვენებელი არაგონივრულია.

2013 წელს, წინა წლებთან შედარებით, ცაგერის მუნიციპალიტეტში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა გაზრდილია 86 საშტატო ერთეულით. წლების მიხედვით თანამშრომლების რაოდენობა და შრომის ანაზღაურება მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

ცხრილი N10: თანამშრომლების რაოდენობა და ანაზღაურება (ლარი) წლების მიხედვით

	2011 წ.		2012 წ.		2013 წ.	
	რაოდენობა	ანაზღაურება	რაოდენობა	ანაზღაურება	რაოდენობა	ანაზღაურება
შტატით ²⁴	164		168		254	
საკრებულოს თანამშრომლები	33	865 870	33	993 354	44	1 324 324
შტატგარეშე	56	141 977	101	239 653	42	101 832
სულ:	253	1 007 847	302	1 233 007	340	1 426 156

²³ გარე განათების, სანიაღვრის, ხიდ-ბოგირების, წყალსადენის, სარიტუალო დარბაზების, საგზაო ნიშნების მოწყობა; ტრაქტორებისა და მილების შესყიდვა.

²⁴ საშტატო ნუსხით დამტკიცებული თანამშრომლების რაოდენობა.

შტატების ზრდა ძირითადად გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში სპეციალისტის თანამდებობების დამატებით და ამას გარდა, შტატგარეშე მოსამსახურეების შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე გადაყვანით. საშტატო რიცხოვნობის ზრდის შესაბამისად, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში ასევე გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯების ოდენობა.

აღსანიშნავია, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის განმარტების საფუძველზე, 2013 წელს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გამოვლინდა ფიქტიურად დანიშვნის შემთხვევა. კერძოდ: გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების დამხმარე მოსამსახურის (დამლაგებელი) შტატში.

სასუქი

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებით, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის მინერალური სასუქის შესაძენად ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 25.0 ათასი ლარი.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგად, ცაგერის მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „მადლოთან“ 530 ერთეული ტომარა მინერალური სასუქის (ამონიუმის გვარჯილა) შესყიდვის თაობაზე, თანხით 25.0 ათასი ლარი²⁵. 250 ერთეული ტომარა მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა ქვემო ცაგერის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს, ხოლო 280 ერთეული - სოფელ ლასურიაშის რწმუნებულს.

გამგეობის მიერ წარმოდგენილ იქნა დაზარალებული ოჯახების სახელობითი სიები, რომელთაც გადაეცათ სასუქი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ ხდება იდენტიფიცირება, რა რაოდენობის ტომარა იქნა

²⁵ 1 ერთეული ტომარა სასუქი (50 კგ.) – 47.17 ლარი.

გადაცემული თითოეულ მოსახლეზე. კერძოდ, სოფელ ლასურიაშის თემში 280 ერთეული ტომარა სასუქი - ღირებულებით 13.2 ათასი ლარი, დარიგებულია ისე, რომ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მიერ საქონლის მიღება ხელმოწერით დადასტურებული არ არის. აღნიშნულის გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულებები იმის შესახებ, მიიღო თუ არა სასუქი ყველა დაზარალებულმა ოჯახმა.

საკონსულტაციო მომსახურება

2011-2013 წლებში შპს „დაუ+“-სგან ცაგერის მუნიციპალიტეტი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ახორციელებდა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვას. მუნიციპალიტეტის მიერ შპს „დაუ+“-ისთვის ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 14.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა:

- ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების, ბიუჯეტის პროექტების შედგენის, განხილვის, მიღების, ცვლილების შეტანის, შესრულების, ანგარიშგების, გარე და შიდა აუდიტის ჩატარების თაობაზე ახალი ნორმატიული აქტების, მოქმედ ნორმატიულ აქტებში შეტანილი ახალი ცვლილებებისა და სხვა მასალების მიწოდება.
- ცალკეულ ნორმატიულ აქტზე საკონსულტაციო კომენტარებისა და განმარტების მომზადება და მიწოდება.
- შემსყიდველი ორგანიზაციისთვის საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის შესახებ ზეპირი ან სატელეფონო განმარტების მიწოდება.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო სიახლეები და კონსულტაცია მუნიციპალური ფუნქციების განხორციელების მიზნით ხელმისაწვდომია ყველა თვითმმართველი ერთეულისათვის. გარდა ამისა, ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურში დასაქმებული თანამშრომლები თავიანთი უფლება-მოვალეობების შესრულებისას ვალდებულნი არიან გააჩნდეთ საბიუჯეტო

კანონმდებლობის გარკვეული ცოდნა და შეეძლოთ მისი პრაქტიკაში განხორციელება. შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის ანალოგიურ საკითხებზე კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა და მუნიციპალიტეტის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევა.

მონობარათების შესყიდვა

ცაგერის მუნიციპალიტეტი 2011-2012 წლებში ი/მ „მირზა ნემსიწვერიძისგან“ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ახდენდა მონობარათების შესყიდვას, ხოლო 2013 წლის თებერვლიდან - შპს „მაგთიკომისგან“. ბარათების შეძენაზე გაწეული ხარჯი მოცემულია ცხრილში:

ცხრილი №11: მონობარათებზე გაწეული ხარჯი წლების მიხედვით

	2011 წ.	2012 წ.	2013 წ.	
გაწეული ხარჯი (ლარებში)	11 595	16 600	1 445	18 150
მიმწოდებელი	ი/მ „მირზა ნემსიწვერიძე“	ი/მ „მირზა ნემსიწვერიძე“	ი/მ „მირზა ნემსიწვერიძე“	შპს „მაგთიკომი“

ცაგერის მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული მონობარათების თანამშრომლებზე განაწილების წესი და ლიმიტები. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა გონივრული მტკიცებულება მონობარათებზე გაწეული თანხების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ხდებოდა თუ არა მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერ ბარათების გამოყენება მუნიციპალური ფუნქციების შესასრულებლად. მსგავსი ხარვეზების თავიდან აცილებისა და სატელეფონო კომუნიკაციის ხარჯების შემცირების მიზნით, ცაგერის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა, საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით უმჯობესია ჩაერთოს კორპორაციულ ქსელში.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

უფროსი აუდიტორი:

გიორგი შურღია




ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორი:

ირაკლი გოგოლიძე



ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორი:

თამთა გელაშვილი



ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორი:

ასმათ ლილუაშვილი



ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორი:

ქრისტინე ეკალაძე



ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორი:

პაატა კუბლაშვილი




ხელმოწერა

თარიღი

აუდიტორი-ასისტენტი:

ანნა ზოსიაშვილი



ხელმოწერა

თარიღი

